სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
10.07.2015. N 127
თბილისი

სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
წევრის არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით დაინიშნოს არჩევნები 2015 წლის 30 ივლისს.
2. არჩევნები გამოცხადდეს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) ერთ ვაკანტურ ადგილზე სამთო-გეოლოგიის ფაკულტეტიდან, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლის ასარჩევად.
3. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი.
4. სენატის წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრებს.
5. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2015 წლის 16 ივლისს და დასრულდეს 2015 წლის 23 ივლისს.
6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.

7. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

8. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

9. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი *ბ.მაისურაძე*